

შპს კილაშურის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს კილაბური

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
თამაშებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალი	5	23,647,308	3,186,150
სხვა შემოსავალი		639,322	888,319
სტუმრების ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯები	6	(5,324,545)	(943,688)
პერსონალის ხარჯები		(6,358,745)	(2,061,076)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი		(876,244)	(266,426)
ლიცენზიების ხარჯი		(1,641,511)	(583,243)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(2,260,813)	(2,378,742)
სხვა ხარჯები	7	(2,199,873)	(949,985)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,624,899	(3,108,691)
წმინდა საპროცენტო ხარჯი		(2,731,035)	(2,756,165)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთრივ სხვაობიდან		4,537,363	(6,436,480)
წმინდა მოგება/(ზარალი)		7,431,227	(12,301,336)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		7,431,227	(12,301,336)

დირექტორი

გიორგი აბაშიძე

შპს კილაშური

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
თამაშებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალი	5	23,647,308	3,186,150
სხვა შემოსავალი		639,322	888,319
სტუმრების ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯები	6	(5,324,545)	(943,688)
პერსონალის ხარჯები		(6,358,745)	(2,061,076)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი		(876,244)	(266,426)
ლიცენზიების ხარჯი		(1,641,511)	(583,243)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(2,260,813)	(2,378,742)
სხვა ხარჯები	7	(2,199,873)	(949,985)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,624,899	(3,108,691)
წმინდა საპროცენტო ხარჯი		(2,731,035)	(2,756,165)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		4,537,363	(6,436,480)
წმინდა მოგება/(ზარალი)		7,431,227	(12,301,336)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		7,431,227	(12,301,336)

დირექტორი

 გიორგი აბაშიძე

შპს კილაბური

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,965,412	4,333,842
აქტივების გამოყენების უფლება	9	14,200,771	-
არამატერიალური აქტივები		95,705	57,041
გაცემული სესხები	10	3,163,871	-
		21,425,759	4,390,883
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		270,392	180,590
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	767,086	84,535
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,348,654	283,996
		2,386,132	549,121
სულ აქტივები		23,811,891	4,940,004
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი		12,836,081	12,836,081
დაგროვილი ზარალი		(27,123,437)	(33,260,766)
		(14,287,356)	(20,424,685)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	13	8,402,309	10,842,146
საიჯარო ვალდებულებები	9	20,183,911	9,462,942
		28,586,220	20,305,088
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	3,833,930	574,403
სესხები	13	3,560,614	-
საიჯარო ვალდებულებები	9	2,118,483	4,485,198
		9,513,027	5,059,601
სულ ვალდებულებები		38,099,247	25,364,689
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,811,891	4,940,004

შპს კილაბური

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი		12,836,081	(21,829,635)	(8,993,554)
სრული ზარალი		-	(12,301,336)	(12,301,336)
დამფუძნებელთან ოპერაცია	15	-	870,205	870,205
2020 წლის 31 დეკემბერი		12,836,081	(33,260,766)	(20,424,685)
სრული შემოსავალი		-	7,431,227	7,431,227
დამფუძნებელთან ოპერაცია	15	-	(-1,293,898)	(-1,293,898)
2021 წლის 31 დეკემბერი		12,836,081	(27,123,437)	(14,287,356)

შპს კილაბური

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		6,853,784	(12,073,539)
კორექტირებები:			
წმინდა საპროცენტო ხარჯი	9;10;13	3,070,386	2,894,237
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		2,260,813	2,378,742
ზარალი ძირითადი საშუალებების გაუფასურებიდან	7	-	289,162
სასამართლო დავებზე ანარიცხის ხარჯი		208,306	-
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(3,831,113)	6,391,974
		8,562,176	(119,424)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების ზრდა		(89,802)	(97,023)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება		(686,325)	908,622
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		3,133,713	(247,679)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		10,919,762	444,496
გადახდილი პროცენტები	9;10;13	(3,930,259)	(1,596,081)
წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან		6,989,503	(1,151,585)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა	10	(3,974,094)	-
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გასული თანხები		(196,776)	(75,089)
არამატერიალური აქტივების შეძენისთვის გასული თანხები		(107,040)	(22,505)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,277,910)	(97,594)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	13	3,164,378	-
სესხების დაფარვა	13	(603,122)	-
იჯარის დაფარვა	9	(4,103,908)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(1,542,652)	-
ცვლილება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		1,168,941	(1,249,179)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	283,996	1,513,713
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		(104,283)	19,462
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	12	1,348,654	283,996

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს კილაბური არის შპს გრანდ კაზინო ბათუმის 100% წილის მფლობელი. შპს კილაბური წარმოადგენს შპს ანურიას 100%-იან შვილობილ კომპანიას. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელი არის კლიმენტი ქასრაძე.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობამ მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (შესწორება - ბასს 37);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (შესწორება - ბასს 16);

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- ფასის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (შესწორება - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41);
- კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინიდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებას ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც:

ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ

შპს კილამური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ნაწილად, ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საკმისაობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2021	2020
გაცემული სესხები	3,163,871	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	142,395	46,031
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,348,654	283,996
სულ ფინანსური აქტივები	4,654,920	330,027
	2021	2020

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,051,043	417,390
სესხები	11,962,923	10,842,146
საიჯარო ვალდებულებები	22,302,394	29,776,142
სულ ფინანსური ვალდებულებები	36,316,360	41,035,678

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების რეალური ღირებულება (მესამე დონე) დაფარვის მოკლე ვადის გამო შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას და შეფასებულია მესამე დონის მიხედვით.

მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 7-12%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 8-9%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას და შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2021		2020	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
გაგებული სესხი	-	902,931	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	142,395	-	46,031
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,283,389	-	280,243	-
სულ ფინანსური აქტივები	1,283,389	1,045,326	280,243	46,031
საიჯარო ვალდებულებები	-	22,009,810	-	26,229,779
სესხები	473,205	7,345,095	-	6,094,585
სულ ფინანსური ვალდებულებები	473,205	29,354,905	-	32,324,364
წმინდა ფინანსური პოზიცია	810,184	(28,309,579)	280,243	(32,278,333)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
2021	162,037	(162,037)	(5,661,916)	5,661,916
2020	56,049	(56,049)	(6,455,667)	6,455,667

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმომადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

მოგება/(ზარალი)	2021	
	100 პუნქტით ზრდა	100 პუნქტით შემცირება
	(25,697)	25,697

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონდა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმომადგენს კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმჯობესდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმომადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ბანკში ფულადი სახსრების განთავსებისას კომპანია ითვალისწინებს ბანკის საკრედიტო რეიტინგს. კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების გაუფასურების წარსული პრაქტიკა და გამომდინარე აქედან არ ანგარიშობს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2021	2020
გაცემული სესხი	3,163,871	-
სავაჭრო მოთხოვნები	142,395	46,031
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	66,961	3,753
სულ	3,373,227	49,784

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმომადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
----------	------------	--------------	-----

შპს კილაბური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,051,043	-	-	2,051,043
სესხები	3,798,308	10,328,076	-	14,126,384
საიჯარო ვალდებულებები	3,826,085	14,044,032	13,166,280	31,036,397
სულ ფინანსური ვალდებულებები 2021	9,675,436	24,372,108	13,166,280	47,213,824

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	417,390	-	-	417,390
სესხები	-	14,420,788	-	14,420,788
საიჯარო ვალდებულებები	6,614,934	16,147,916	19,148,896	41,911,746
სულ ფინანსური ვალდებულებები 2020	7,032,324	30,568,704	19,148,896	56,749,924

5. თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი

	2021	2020
მოგება მაგიდებიდან	24,362,746	2,657,521
მაგიდების დისკაუნტების ხარჯი	(6,718,223)	(567,955)
წმინდა მოგება მაგიდებიდან	17,644,523	2,089,566
მოგება სლოტებიდან	6,330,737	1,244,027
სლოტების ბონუს ხარჯი	(327,952)	(147,443)
წმინდა მოგება სლოტებიდან	6,002,785	1,096,584
წმინდა შემოსავალი კაზინოს საქმიანობიდან	23,647,308	3,186,150

2020 წლის მარტის თვიდან კომპანიამ დროებით შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა, საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გამოცემული მითითებისა და ბრძანებების შესაბამისად. დაწყებული რეგულაციებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით კომპანიამ საქმიანობა განაახლა 2021 წლის აპრილიდან.

6. მარკეტინგული ხარჯები

	2021	2020
სტუმრებზე ტრანსპორტირების ხარჯი	(2,651,634)	(335,475)
სტუმრების განთავსების ხარჯი	(1,304,465)	(203,777)
სტუმრების გამასპინძლების ხარჯი	(1,204,416)	(173,933)
სხვა ხარჯი	(164,030)	(230,503)
სულ	(5,324,545)	(943,688)

7. სხვა ხარჯები

	2021	2020
ქონების და სხვა გადასახადები	(702,431)	(151,100)
კომუნალური ხარჯი	(289,037)	(96,366)
გადახდის აპარატის საკომისიო	(247,607)	(56,419)
საკონსულაციო და აუდიტის ხარჯი	(174,380)	(44,618)
დასუფთავების ხარჯები	(166,426)	(34,185)
დაზღვევის ხარჯი	(106,452)	(107,431)
სათამაშო აქსესუარების ხარჯი	(90,977)	(21,301)
კომუნიკაციის ხარჯი	(49,918)	(49,782)
სხვა	(343,464)	(99,621)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან და გაუფასურებიდან	(2,170,692)	(660,823)
	-	(289,162)

შპს კილაპური

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

სულ		(2,170,692)		(949,985)	
8. ძირითადი საშუალებები					
ისტორიული ღირებულება	სათამაშო მაგიდები და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის ინვენტარი და აღჭურვილობა	სხვა და სხვა ინვენტარი	სულ
31.12.2019	3,674,065	5,169,244	1,452,608	143,746	10,439,663
შემოსვლა	749	-	29,602	44,738	75,089
31.12.2020	3,674,814	5,169,244	1,482,210	188,484	10,514,752
შემოსვლა	166,586	-	30,190	-	196,776
გადასვლა	402,356	-	(402,356)	-	-
31.12.2021	4,243,756	5,169,244	1,110,044	188,484	10,711,528
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2019	(2,578,534)	(1,466,059)	(1,085,211)	(112,035)	(5,241,839)
პერიოდის ცვეთა	(218,868)	(344,616)	(58,240)	(28,185)	(649,909)
გაუფასურება	(289,162)	-	-	-	(289,162)
31.12.2020	(3,086,564)	(1,810,675)	(1,143,451)	(140,220)	(6,180,910)
პერიოდის ცვეთა	(150,079)	(344,616)	(52,411)	(18,100)	(565,206)
გადასვლა	(284,381)	-	284,381	-	-
31.12.2021	(3,521,024)	(2,155,291)	(911,481)	(158,320)	(6,746,116)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2020	588,250	3,358,569	338,759	48,264	4,333,842
31.12.2021	722,732	3,013,953	198,563	30,164	3,965,412
9. ფული და ფულის ეკვივალენტები					
		2021	2020		
ფული სალაროში		1,281,693	280,243		
ფული საბანკო ანგარიშზე ადგილობრივ ვალუტაში		65,265	3,753		
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში		1,696	-		
სულ		1,348,654	283,996		
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები					
		2021	2020		
სავაჭრო ვალდებულებები		509,838	188,837		
გადასახდელი ხელფასები		1,541,205	228,553		
სულ ფინანსური ვალდებულებები		2,051,043	417,390		
ვალდებულება მოთამაშეების მიმართ		1,552,923	-		
საგადასახადო ვალდებულებები		229,964	157,013		
სულ		3,833,930	574,403		

შპს კილაპურის შვილობილ კომპანიას გააჩნია დავა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით ყოფილ თანამშრომლებთან. დავის თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 153,331 ლარს. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდება კომპანიისთვის არასასურველი შედეგით ვიდრე პირიქით. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ანარიცხი აღიარებულია სრულად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში.

შპს კილაპურის შვილობილ კომპანიას გააჩნდა დავა საგადასახადო ორგანოსთან. დავის თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 2,500,000 ლარს, რომელიც შედგება ძირისგან, ჯარისგან და საურავისგან შესაბამისად 1,033,000; 517,000; 950,000 ლარისგან. 2021 წელს კომპანიის სასარგებლოდ დასრულდა სააპელაციო სასამართლო. საქმემ გადაინაცვლა

შპს კილაური

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

უზენაეს სასამართლოში. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ ვიდრე პირიქით. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით კომპანიამ 2021 წელს აღიარა ანარიცხი ჯამური თანხით 54,975 ლარი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები - კომპანია სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ერთად წარმოადგენს დაკავშირებული საწარმოს მიერ მიღებული სესხის თანამსესხებელს და თავდებს. სესხის ნაშთი, რომლისთვისაც კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 628,000 ლარს. კომპანია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემული ფინანსური გარანტიების რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას არაარსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის აღბათობა დაბალია და შეფასებული საკრედიტო ზარალის თანხა არ აჭარბებს საწყისი აღიარებისას შეფასებულ რეალური ღირებულების არაამორტიზებულ მოცულობას, შესაბამისად, ანარიცხი არ არის აღიარებული.

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

12.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

12.2 თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი

თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავლის აღრიცხვა არ მიეკუთვნება ფასს 15-ის (ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან) მოქმედების სფეროს. ახარტული თამაშებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას არეგულირებს ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით, რაც გაიანგარიშება მიღებულ თანხებს გამოკლებული მომხმარებელთა მოგება და ქეშბექ ბონუსები.

12.3 ხარჯები

ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. ფიქსირებული და ცვლადი ხელფასის, ბონუსის და სხვა არაფულადი სარგებლის ხარჯის დარიცხვას კომპანია ახორციელებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც თანამშრომელმა

კომპანიას მოცემული სერვისი მიაწოდა.

12.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

12.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური

18. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება იმ სავარაუდო ღირებულებით, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, აქტივი რომ ყოფილიყო ისეთ მდგომარეობაში როგორც იქნებოდა მისი მომსახურების ვადის გასვლისას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა ჯგუფს ცვეთა ერიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
სათამაშო მაგიდები და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15
ოფისის ინვენტარი და აღჭურვილობა	3-8
სხვა და სხვა ინვენტარი	5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

12.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 10 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

12.7 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივების დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადამსწრულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

12.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

12.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს

ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულისა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. სხვა ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

12.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. კაპიტალი აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.